სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტების Excel-ის ფორმატის სახით განთავსებასთან დაკავშირებით

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებისას, სატენდერო კომისია შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით, ერთიან ელექტრონულ სისტემაში განათავსებს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციას.

საგულისხმოა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას ერთიან ელექტრონულ სისტემაში აქვს დოკუმენტის PDF ფორმატში ატვირთვის/განთავსების საშუალება, თუმცა ერთიან ელექტრონულ სისტემაში არაერთი ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობისას PDF ფორმატის დოკუმენტის სახით ატვირთული/განთავსებული ფასების ცხრილის (ხარჯთაღრიცხვის) სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ როგორც სამშენებლო სამუშაოების, ასევე მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, შერჩევა/შეფასების დროს, საკმაოდ ხშირია ტექნიკური ხასიათის შეცდომები და უზუსტობები. ამასთან, მიმწოდებლებს გაცილებით უმარტივდებათ ფასების ცხრილის (ხარჯთაღრიცხვის) შევსება და წარდგენა Excel-ის ფორმატის დოკუმენტის სახით. ამავდროულად, ფასების ცხრილის (ხარჯთაღრიცხვის) Excel-ის დოკუმენტის სახით ატვირთვის/წარდგენის შედეგად, როგორც სამშენებლო სამუშაოების, ასევე მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერების შერჩევა/შეფასებისას, მინიმუმამდეა დაყვანილი ტექნიკური ხასიათის შეცდომები და უზუსტობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შერჩევა/შეფასების დროს ტექნიკური ხასიათის შეცდომებისა და უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია სამშენებლო სამუშაოებისა (CPV45100000 - CPV45400000) და მომსახურების (CPV71500000) შესყიდვის მიზნით, ასევე პრეისკურანტის მეშვეობით სამშენებლო სამუშაოებისა (CPV45200000, CPV45500000) და მომსახურების (CPV50100000 - CPV50500000, CPV50700000, CPV51700000, CPV55500000, CPV65100000, CPV66500000, CPV79500000, CPV85100000, CPV90400000) შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მთავარი შემადგენელი დოკუმენტი - ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) ერთიან ელექტრონულ სისტემაში განათავსონ მხოლოდ Excel-ის ფორმატის დოკუმენტის სახით და ზემოაღნიშნულ CPV კოდებზე ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის განხორციელებისას სატენდერო პირობებში გაითვალისწინონ ფასების ცხრილის (ხარჯთაღრიცხვის) მხოლოდ Excel-ის დოკუმენტის (შესაძლო მინიმალური ზომის ფაილის) სახით წარდგენის მოთხოვნა.

ამავდროულად, სააგენტო აღნიშნავს, რომ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების თანახმად, პრეტენდენტის მიერ Excel-ის ცხრილის სახით წარსადგენი დოკუმენტი არ საჭიროებს ხელმოწერას ან/და ბეჭედს (მათ შორის, ელექტრონულ ხელმოწერას ან/და ელექტრონულ შტამპს).

ამასთან, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) Excel-ის ფორმატის დოკუმენტის სახით ატვირთონ დოკუმენტის მარცხენა მხარეს არსებული ველების (შესასრულებელი სამუშაოს/გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, რაოდენობა/მოცულობა) შემდგომი რედაქტირების უფლების შეზღუდვით.